

რეკომენდაციები	პასუხისმგებელი სტრუქტურა	შესრულების ვადები
საგანმანათლებლო პროგრამებითა და სილაბუსებით გაწერილი სწავლა/სწავლების მეთოდების პრაქტიკული განხორციელება	რსუ–ს და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები	სასწავლო წლის მანძილზე
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ზრდის მიზნით კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსების, ტრენინგების, სემინარების ჩატარება და ამისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტში საჭირო თანხების გათვალისწინება	რსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადმინისტრაცია	2012–2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრი
ლექციებისა და ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების დროს სტუდენტთა რაოდენობის შემცირება	რსუ–ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი	სასწავლო წლის დასაწყისი
სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტიური ჩართულობით, დარგობრივი დეპარტამენტების მიერ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ფორმების განსაზღვრა	დარგობრივი დეპარტამენტები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტური თვითმართველობა	სასწავლო წლის დასაწყისი
სასურველია დეპარტამენტებში პროფესორ–მასწავლებელთა ყოველკვირეული შეხვედრების დანერგვა, რომელზეც ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ სალექციო/ჯგუფში მუშაობისა და სხვა აქტივობების გამოცდილებას, დაგეგმავენ მათი ხარისხის გაუმჯობესების გზებს	დარგობრივი დეპარტამენტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	სასწავლო წლის მანძილზე
აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული სტუდენტებისათვის განკუთვნილი საკონსულტაციო საათების სასწავლო ცხრილში გაწერა და მისი სისტემატური მონიტორინგი	დეკანის მოადგილეები, მონიტორინგის ჯგუფი, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი	სასწავლო წლის მანძილზე

პარტნიორი ან სხვა წარმატებული უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების/ცენტრების მკვლევარებისა და პრაქტიკული სფეროს წარმომადგენლების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, ფაკულტეტის დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტები, საგანმანათლებლო პროგრამები	სასწავლო წლის დასაწყისი
სტუდენტთა ინფორმაციულობის მიზნით სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გაუმჯობესება	დეკანის მოადგილეები, სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური	სასწავლო წლის მანძილზე
სტუდენტებისათვის აკადემიური შეფასების წესის დეტალურად გაცნობა	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი	სასწავლო წლის დასაწყისი
უნივერსიტეტის ვებგვერდის განახლება (დიზაინი, საკომუნიკაციო და საინფორმაციო მხარე, მისი ინგლისური ვერსიის შექმნა და სხვა)	პრესსამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახური,	სასწავლო წლის მანძილზე
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებით (სილაბუსები) გათვალისწინებული დეფიციტური ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების შექმნა, რიდერების მომზადება	რსუ-ს ბიბლიოთეკა, დარგობრივი დეპარტამენტები, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი	სასწავლო წლის დასაწყისი
სტუდენტთა გამოკითხვის გაანალიზების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანა მენეჯმენტისა და კომპიუტინგის საბაკალავრო, აგრეთვე სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამები	სასწავლო წლის დასაწყისი
დამატებითი საგანმანათლებლო (minor) პროგრამების ორგანიზებულად განხორციელება	ფაკულტეტები	სასწავლო წლის მანძილზე
შეფასების ობიექტურობის ხარისხის გაზრდის მიზნით შუალედური და დასკვნითი გამოცდების (ძირითადი ნაწილის) წერითი ფორმით ჩატარება და მისი გადატანა დეპარტამენტებიდან რსუ-ს გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში	გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები	სასწავლო წლის მანძილზე
უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრირების (საუნივერსიტეტო სამსახურები, დეკანატი, დეპარტამენტები, სამდივნო) გაუმჯობესების მიზნით სტუდენტთა მომსახურების ელექტრონულ ფორმაზე გადასვლა.	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახური	2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრი

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სასწავლო დეპარტამენტების საჭირო რაოდენობის პროექტორებითა და სხვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა	რსუ-ს ადმინისტრაცია	სასწავლო წლის დასაწყისი
საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა: სველი წერტილებისა და გათბობის საკითხის მოგვარება, აუდიტორიების კონდიცირება, ინვენტარის განახლება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ჰიგიენური ნორმების დაცვა	რსუ-ს ადმინისტრაცია	სასწავლო წლის დასაწყისი
სპორტული და კულტურული ღონისძიებების გააქტიურება	სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური, სტუდენტური თვითმართველოა	სასწავლო წლის მანძილზე
სტუდენტური პროექტებისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობების გამჭვირვალობა	სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური, სტუდენტური თვითმართველობა	სასწავლო წლის მანძილზე
კურატორების მუშაობის გააქტიურება	რსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი, რაქტორის აპარატი, დეკანის მოადგილეები	სასწავლო წლის მანძილზე
აკადემიური პერსონალის წახალისებაში (მადლობის გამოცხადება, პრემია და რსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისების სხვა სახეები) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება	რსუ-ს მართვის ორგანოები	სასწავლო წლის ბოლო
აკადემიური პერსონალისათვის დისციპლინარული სახდელის დაკისრებისას სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება	რსუ-ს მართვის ორგანოები	სასწავლო წლის ბოლო